შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ - L.T.D. „HIDROGEOPROJECT“

205175415

№02/17 „16“ აგვისტო2017 წ.

საექსპერტო დასკვნა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის I მიკრორაიონში (ნაკვეთი 07/003) აგებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესახებ.

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის I მიკრორაიონში (ნაკვეთი 07/003) აგებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობა. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში l×b=21.54×20.70მ. იგი კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვანია. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთები სიმაღლის მიხედვით იცვლება b×h=60×60-დან b×h=40×40სმ. კავშირებად გამოყენებულია სიხიხტის დიაფრაგმები სისქით b=20სმ. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. ნიშნულებში (-3.30)-(±0.000მ.) ფილის სისქეა 20სმ. დანარჩენ სართულებზე ფილების სისქე 16სმ. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ.

საძირკვლები წერტილოვანია, ბალიშის ძირის ზომებითl×b=160×160სმ. სისქე 40სმ. წერტილოვანი საძირკვლები ერთმანეთთან გრძივი და განივი მიმართულებით დაკავშირებულია მონოლითური რკინაბეტონის კოჭებით განივი კვეთით b×h=40×40წმ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, საძირკვლების ქვეშ ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები: გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა (ფენა 2) შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე $\rho=2.32$კგ/სმ^3.
სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ პირობებში
$R_C=119$კგ/სმ^2.

კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასია B25; ხოლო არმატურის კლასი A500C და Ac-I.
პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავდა 2015წელს შ.პ.ს. „მონოლითი“-ს მიერ.
პროექტი გაანგარიშებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსი „ЛИРА

9.4“ გამოყენებით I=8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე. ამასთან ერთად გათვალისწინებულია შემდეგი კლიმატური მონაცემები.

ქარის ნორმატიული ჩქაროსნული დაწნევა W_0=85კგ/ მ^2.

თოვლის ნორმატიული დატვირთვა S_0=50კგ/ მ^2.

2017 წელს დამკვეთის თხოვნით შ.პ.ს. „მონოლითი“-ს მიერ დამუშავდა კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. კორექტირებული პროექტის მიხედვით ღერძებში „ბ“-„დ“; „1“-“4“; ნიშნულებში +32.2; 34.30; 35.50მ; გათვალისწინებულია ნაწილობრივ არასრული და ნაწილობრივ სრული სართულის დაშენება. დაშენება ხორციელდება არსებული მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოების სვეტების დაგრძელების საშუალებით (იხ. კვანძები 1;2). პროექტის გრაფიკული ნაწილი დამუშავდა მას შემდეგ, რაც შედგა კორექტირებული შენობის საანგარიშო მოდელი და შენობა გაანგარიშდა I=8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე. გაანგარიშებით დადასტურდა კორექტირებული შენობის კონსტრუქციის მზიდუნარიანობა როგორც სტატიკურ ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის I მიკრორაიონში (ნაკვეთი 07/003) აგებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობა. შენობა აიგო 2015 წელს შ.პ.ს. „მონოლითი“-ს მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით. ნაშენი კონსტრუქცია შეესაბამება ხსენებულ პროექტს და აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს.

2017 წელს შ.პ.ს. „მონოლითი“-ს მიერ დამუშავდა კორექტირებული პროექტის კონსტრუქციები, რომლის მიხედვითაც არსებულ შენობას დაემატა ნაწილობრივ არასრული და ნაწილობრივ სრული სართული. პროექტი გაანგარიშებულია რვა ბალიან სეისმურ ზემოქმედებზე. იგი შედგენილია საქართველოში დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე, რაც განაპირობებს შენობის უსაფრთხო მუშაობას.

1. 2015 წლის პროექტით განხორციელებულ მშენებლობას გააჩნია ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მდგრადობა და სიმტკიცე რაც უზრუნველყოფს 2017 წელს მომზადებული კორექტირებული პროექტის განხორციელების შესაძლებლობას რომლის შესაბამისი გაანგარიშებებიც მოცემულია პროექტში.

2. 2017 წელს შ.პ.ს. „მონოლითი“-ს მიერ დამუშავებულ კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს
დირექტორი /ნ. ქიქავა/